საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 9 15 01223817

24/11/2015

ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 20/11/2015 წლის N1216483 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნატანების საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 24/09/2015წ. N966974 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობის ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ლაშა სალინაძე

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220